

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“

ბათუმი, მემედ აბაშიძის #41, ს/კ 245675880

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N02-03/18

ბათუმი

01 ოქტომბერი 2015 წელი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დაამტკიცა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“, რომლის თანახმად მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს გადაწყვეტილების მიღება მიუკერძოებელი და სამართლიანი პროცედურის საფუძველზე და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოს საჩივრის განხილვის გამჭვირვალე პროცესი, ამდენად ვხელმძღვანელობ რა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლითა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-ს შესაბამისი ნორმებით:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დაამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“-თ მოწესრიგებულ საკითხებთან დაკავშირებით დამტკიცდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება.
2. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებ გვერდზე (<http://ajaratv.ge>) და ადმინისტრაციულ შენობაში განცხადებებისათვის სპეციალურად განკუთვნილ დაფაზე.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის

აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

დირექტორი



სოსო სტურუა